იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 168

წელიწადი მეორე

1913

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის თეატრი

კვირას, 20 ოკტომბერს გაიმართება პირველი ქართული სიმფონიური

კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილისა.

პ რ ო გ რ ა მ ა:

I.

ქართული მუსიკა და მისი ჰარმონია კონტრაპუნკტი, წაიკითხავს **კ. ფოცხვერაშვილი.**

II.

1) პირველი რაპსოდია კ. ფოცხვერაშვილისა. 2) ნუმრები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან:—„თამარ ცბიერი“. 3) „თქმულება ამირანზე“ (ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან) სიმფონიური ესკიზი (სიუიტა) კ. ფოცხვერაშვილისა. 4) ქართული ეროვნული სიმღერები შემუშავებული ხოროსა და ორკესტრისათვის კ. ფოცხვერაშვილის-მიერ. 5) ქართული მარში და სიმფონიური ნუმრები მ. იპოლიტოვი-ივანოვის ოპერიდან: „ღალატი“.

III.

სხვადასხვა ნუმრები კ. ფოცხვერაშვილის ოპერიდან:—„კერპთა დამხობა.“ 1) ქურუმთა და ქურუმ ქალთა სალვთო როკვა. 2) ფინალი (ქექა-ქუხილის სცენა). 3) არია (ლოცვა) ქურუმ ქალისა. 4) „დიდება არმაზსა“ (ჰიმნი). 5) ქართული ეროვნული სიმღერები კ. ფოცხვერაშვილისა. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ნ. ა. ვესელოვზოროვისა (სოპრანო) (შეასრულებს ხოროსთან ერთად ქურუმ-ქალის არიას), თფილისის ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრი, ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების ქალვაჟთა გუნდი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება ბ-ნი თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.

ქართული თეატრი.

პარასკევს, 18 ოკტომბერს თფილისის ქართულის დრამატიულის დასის მიერ ტასო აბაშიძის, ე. ჩერქეზიშვილისა და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება.

I.

ძალა ალმართს ხნავს

4 მოქ. კომ. ვ. გუნიასი.

II.

გულმა იგრძნო

ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს, 19 ოკტომბერს წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

გადაჭრილი მუხა.

რეჟისორი გალ. შალიკაშვილი.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.	
დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ.	8—10
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საშვებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჭოლოშვილი—საშვ., ქალთა და შინაგ.	12½ 2
ს ა ღ ა მ ო თ.	
გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის	4½—5½
გ. ა. ჭოლოშვილი—საშვებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. **ჭოლოშვილი.** წ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

მ. ბალანჩივაძისა

ხელახლა განაახლა ავათმყოფების მიღება მკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. შემდეგ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. ვენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი ვ. ა. **ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

ექიმი ი. **ჩარექოვი** იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს **ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ექიმი გ. ა. **მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30. თ.

ექიმი კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

ღაბა ზუსტაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

ი ყ ი დ ე ბ ა

ოზურგეთის მაზრაში რკინისგზის სადგურიდან ათი ვერსის მანძილზე აკაციის ხეები 500 ძირი და მეტიც, ხუთიდან რვა ვერშოკიანი. იკითხეთ ილია ჰითანავა, კაზაკოვის ქუჩა, ერისთავის ბინა, ნიჟარაძის სახლი.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ ., რუსეთის და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნები და უკან სკნელ მოდის, გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი

25 ცალი 3 შ.
10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლო ყგურული“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამუნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცსანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მისეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

ახლათ გამოშვებული პაპიროზები

„დელი-ბაზ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 15 კ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა **„ბინიატ-ოღლისა“** ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

თფილისის საპოლიტექნიკო კურსები, ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწის-მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწის-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. მეცადინობა 1 ოკტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდკაპიკიანი მარკა. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამ. 4 8 ს., თხოვნების მიღება გძელდება **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.**

Предостереженіе.

Отъ Кефирнаго Заведеія о. Корона

Довожу до свѣдѣнія почтеннѣйшей публики, что въ Кутаисѣ временно прекратила свое производство Кефира и Мацони и на зиму таковое перенесла въ Сухумѣ.

Прошу остерегаться поддѣлокъ и подражателей.

Съ почтеніемъ **О. Корона.**

ახალი ამბავი.

1913 წ. 8 ივნისს დატუსაღებული სტუდენტები: ვ. კარბელაშვილი, ქ. რაჭველაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ს. მდივანი და მუშა ი. ქელბაქიანი უკვე გაათავისუფლეს და გადასახლება მიუსაჯეს: ი. ქელბაქიანს პლ. ეგნატაშვილს 3 წ. და დანარჩენებს 4 წ. ამათგან ეგნატაშვილს საცხოვრებელ ბინათ აურჩევია ხარკოვი, დანარჩენებს ყველას ადესა.

✦ 15 ოკტომბერს კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნველის თანაშემწემ ბ-მა ლაპატინსკიმ რევიზია მოახდინა ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებელში და ძლიერ კმაყოფილი დარჩა სასწავლებლის მასწავლებელ ქალთა მუყაითი შრომით და სასწავლებლის გამგეს სწავლის საქმის კარგათ დაყენებისათვის მადლობა გადაუხადა.

✦ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწემ ლაპატინსკიმ ხოჯევანიშვილის ქალის ქალთა პროგიმნაზია ინახულა და მოსწავლე-მასწავლებლებით კმაყოფილი დარჩა.

✦ მწერალმა ია ეკალაძემ გუბერნატორის წინაშე ქართული თვიური ჟურნალის გამოცემის შესახებ შუამდგომლობა აღძრა. ჟურნალს სახელათ „ახალი მოამბე“ ერქმევა და ძველი „მოამბის“ ზომისა იქნება.

✦ ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მეშვიდე და მერვე კლასის მოწაფეები 20 ოკტომბერს გელათს მიდიან.

✦ ხვალ ქართულ თეატრში თფილისის დრამატიული დასი წარმოადგენს ვ. გუნიას ოთხ მოქმედებიან კომედიას—„ძალა ალმართსა ხნავს“ და ვოდევილს „გულმა იგრძნო.“ შაბათს წარმოადგენენ ე. შალიკაშვილის პიესას—„გადაჭრილ მუხას,“ ეს პიესა ქუთაისის საზოგადოებას ჯერ არ უნახავს.

✦ ქუთაისის ფოშტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი შეეკითხა ქალაქის გამგეობას—30 სეკტემბრის სხდომაზე ფოშტის ბინის დასაქირავებელი ფულის გადიდების შესახებ რა გადასწყვიტეთო. როგორც ვიცით, ამ სხდომაზე საბჭომ დასაქირავებელი ფული ასი მანეთით გაადიდა.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ განცხადებათა ბოძები იჯარით მისცეს არტემ აგაშჯანოვს.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების სარევიზიო კომისიამ განიხი-

ლა ხსენებული საზოგადოების 9 წლის ანგარიში.

ანგარიშიდან ჩანს, რომ საზოგადოებას ამ ჟამათ ფულათ 5844 მანეთი და 11 შაური აქვს და ადგილი 1139 ოთხკუთხი საჟენი 15—16 ათას მანეთათ ღირებული. საზოგადოების წევრთა წლიური კრება 27 ოკტომბერს მოხდება.

✦ ხონის საბოქაულოდან სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გაიწვიეს სულ 166 კაცი.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს მოსამსახურე ალექსანდრე ბოჭორიშვილი ხარაგოულში გადაიყვანეს მომრიგებელი-მოსამართლის მდივნათ.

✦ 17 ოკტომბერს ოლქის სასამართლო გაარჩევს მამასახლისის სხალაძის საქმეს. დამცველათ გამოდის თფ. ნაფ. ვექ. ტურკევიჩი.

✦ გაზეთი „თემის“ უკანასკნელ ნუმერში მოთავსებულია გიგა ჯუღელის სურათი.

✦ 15 ოკტომბერს ოლქის სასამართლომ ფილიპე ხარაბაძესა და პარმენ კვიმსაძეს თითოს რვა თვის გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტა ყალბი მოწმობის შედგენისთვის.

✦ ქუთაისის წმინდა ნინოს შკოლის უფროსი კლასის მოწაფეები გელათს მიდიან. ხელმძღვანელობას გაუწევს და სიძველეების შესახებ ახსნა-განმარტებას გადასცემს მასწავლებელი იაკობ ცინცაძე (ეკალაძე).

✦ საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ დეპუტატებთან საუბრის დროს თავისთავი მემარჯვენეთ აღიარა, მაგრამ არა პროგრესის მტრათო. რიტუალური მკვლელობის არსებობას არ აღიარებს და ბეილისის დანაშაულობა სიმართლეთ არ მიაჩნიაო.

✦ პეტერბურგის „მუშათა გაზეთში“ დაბეჭდილია მეორე სათათბიროს დეპუტატის კაკი წერეთლის დეპეში დეპუტატი ჩხეიძის მიმართ კატორგიდან გათავისუფლებისა და გადასახლების შესახებ. კაკი წერეთელს საცხოვრებელ ადგილათ ირკუტსკის გუბერნიაში სოფ. მალიშოვკა დაუნიშნეს.

✦ სატახტო ქალაქის გაზეთების ცნობით მეუფროსე ესდეკთა კონფერენცია მოხდა, სადაც გამოიტანეს რეზოლუცია, რომ სათათბიროს ფრაქციის წევრი დეპუტატები ვალდებული არიან ყოველ პროექტს მხარი დაუჭირონ, რომელიც კი მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხება.

✦ ართვინის ოლქის უფროსი შმერლინგი ყარსის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეთ დანიშნეს, ხოლო ართვინის ოლქის უფროსის თანამდებობას დეკანოზიშვილი შეასრულებს.

✦ ქ-ნს ნადეჟდა კახიანისას გადაუცია ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობისთვის 31 ძველი ფული (15 ვერცხლისა და 16 სპილენძის), ერთი ქალის სარტყელი ხავერდისა ვერცხლით მორთული და ერთი რკინის მაკრატელი (მაყაში)—ძველათ სანთლის ფუტის მოსაჭრელი.

✦ ამავე გამგეობისთვის ბ. იოსებ ოცხელს გადაუცია ორი ძველი ხის დოქი და ერთი სპილენძის ბარი—ეს ნივთები ბ. ოცხელს შემთხვევით უყიდია ვიღაცასგან.

✦ მიწისმოქმედების დეპარტამენტმა დაადგინა სვანეთის შუა გულში მოაწყოს საფუტკრე სადგური.

✦ თფილისის საფოშტო-სატელეგრაფო ოლქის უფროსმა მექანიკოსმა კრასოვსკიმ ამ დღეში ჩაიბარა საზღვაო სამინისტროს უწყებიდან 20 დეს. მიწა ბაილოვოზე, სადაც უნდა მოეწყოს უმავთულო რადიო-ტელეგრაფის სადგური. სადგური ჯერჯერობით შეერთებული იქნება ბათომთან და ფოთთან, ხოლო მალე კასპიის ზღვის ყველა სადგურთან.

✦ **პეტერბურგის ბირჟა 15 ნოემბერს.** ქუთაისის თავ.-აზ. საადგილ-მამულო ბანკის 5%-ანი გირავნობის ფურცლები 80 მ.

თფილისის თავ.-აზ. საადგილ-მამულო ბანკის 5%-ანი გირავნ. ფურცლები გამყიდველები 81 მ. 12½ კაპ.

თფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5%-ანი ობლიგაციები 83 მ. 75 კაპ.

✦ კვირას, ოკტომბრის 20-ს, დილის 11 საათზე, ქართული სკოლის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზ. კავკავის განყოფ-ბის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1911 და 1912 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში. 1911—1912—1913 სამ. წლ. შკოლის სწავლა-აღზრ. ანგ. გამგეობის წევრთა რიცხვის შემცირება და ცეხების წარმომ. არჩევა. სხვადასხვა სექციის არჩევა გამგეობასთან. გამგეობისა და შკოლის ინსტრუქციის დამტკიცება. შკოლის ნივთიერი მდგომარეობის შესახებ. 25 წლის შკოლის არსებ. იუბილეს შესახებ. გამგეობის თავ.—რის, გამგ-ის წევრთა და სარ. კომ.

✦ ალექსანდრე ძოწენიძემ განსვენებული შვილის ვახტანგის სახელით არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის შემოსწირა 6 მ.

მეტი ყურადღება.

დღეს ქუთაისის ბაზარზე დიდძალი ყურძენი შემოაქვთ. წლევანდელმა „მომწვარმა“ წელიწადმა, მოუსავლობით დაჩაგრული მცხოვრებნი სულ არ გასწირა და ყურძნის მოსავალი შედარებით კიდევ არის. და აი, გლეხი, თუ წვრილი მემამულე აზნაური, ვისაც კი ვენახი გააჩნია, ამ ყურძნით ფიქრობს სული მოითქვას, შემოაქვს ბაზარზე გასაყიდათ, რომ აღებული გროშებით სხვა სანოვაგე იყიდოს, ოჯახი არ დაამშიოს. ულვინობას იოლად დათმობს, თუ მჭადი ექნა. დიდის ცოდვილითა და გაჭირვებით, უგზოობის გამო, შემოდის ბაზარში ურმით გლეხი, ღამე ძილი არ უწერია და გათენდება თუ არა, ცოდვილი და გაჭირვება მერე უფრო დაადგება. ქალაქის მცხოვრები, ბაზრის მეთვალყურე, პოლიცია, ბიჭ-ბუჭები—ყველმ მას მიესევა. გასაჩერებელი ადგილი, ვითამ „მეთვალყურეების“ მუჯლუგუნები, წონაში მოტყუება, შარები, ბიჭ-ბუჭების მოგროება—როგორ უნდა გადარჩეს ყველა ამას?.. ბედს იწყევლის გლეხი და გამკითხავი არვინაა.

აი ერთი ფაქტი:

სალომინაოს გლეხს ივანე კილასონიას ყურძენი ჩამოუტანია ბაზარში. გლეხს შინ აუწონია ყურძენი და გამოსულა 42 ფუთი და 20 გირვანქა, ქუთაისში ეს ყურძენი უყიდია მისგან ბ. სიმონ ქეიშვილს, ფუთი 1 მანეთად. ყურძენი აუწონიათ ქალაქის სასწორზე და გამოსულა სულ ტარიფიანათ 61 ფუთი და 18 გირვანქა. როცა ქეიშვილს ყურძენი თავის ქურქელში მოუქცევია, გლეხისთვის უთქვამს, სამ ფუთამდი გაფუჭებულია და ნუ ვიანგარიშებთო. კილასონიას თანხმობა გაუცხადებია. ამას შემდეგ ქეიშვილი და კილასონია წამოსულან სასწორზე ტარის წონის გასაგებათ. ქეიშვილი უფრო ადრე მისულა სასწორთან, შემდეგ გლეხიც მისულა ურმით, აუწონიათ და გამოსულა 18 ფ. და 20 გირვანქა. ამ ანგარიშის კვალობაზე უნდა მიეღო კილასონიას ფული. ბ. ქეიშვილი კი აძლევდა ფულს 32 ფუთისა და 20 გირ. კვალობაზე, 3 ფუთის გამოკლებითაც—სულ 29 ფუთ., რადგანაც გლეხს შარი მოუდვა—შენი ყურძენი ტარიფით 51 ფუთი იყოვო. სიმართლის შესამოწმებლათ მიმართეს წიგნს, სადაც წონის რაოდენობა იწერება. აღმოჩნდა, რომ რიცხვი 61 გადასწორებულია 51-ათ კილასონიამ წააყენა კვიტანცია, სადაც ეწერა წონა ტარიფიანათ 61 ფ., ქეიშვილმა თავისი კვიტანცია დამალა და განაცხადა: არ ვიცი დავხიე, თუ დამეკარგაო. საცოდავი გლეხი თავისი ურმითა და ხარებით დგას და უყურებს სისწორით ანგარიშის მიღებას. სხვა პირების ჩარევით უბნის ზედამხედველმა ამ ბოროტმოქმედების შესახებ შესაფერი ოქმი შეადგინა და ყოველივე ეს ეცნობა ქალაქის გამგეობის წევრს ბ. ქვარიანს.

ეს ერთი ფაქტია... ვინ იცის, რამდენი ამაზე უარესიც შეხვედრია და შეხვდება კიდევაც გლეხებს... საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს. ქალაქის გამგეობამაც და თვით მოქალაქეებმაც უნდა შეიგნონ, რომ, თუ ისინი არიან გლეხებისთვის საჭირო, უფრო მეტათ გლეხები და სოფელია მათთვის საჭირო, აუცილებელი საჭიროც, რომ უსოფლოთ ისინი ვერც პურსა სჭამენ და ვერც ღვინოს იგემებდენ და ამიტომ მეტი პატივისცემა და სამართლიანობა მართებთ ამ სოფლისადმი, გლეხების მიმართ.

დღიური.

სათათბიროს სხდომები დაიწყო. კადეტებმა პრესის დევნის შესახებ შეკითხვა შეიტანეს. ბეილისის საქმეზე მილიუკოვმა სიტყვა სთქვა. თავჯდომარემ მილიუკოვი რამდენჯერმე შეაჩერა.

— იტალიაში გაშავებულისა და არჩეულ დეპუტატების მომხრეებს შეიარაღებული შეტაკება მოუხდათ.

— ნოვოჩერკასკის მახლობლათ შავი ჭირით გადაცვლებულთა რიცხვი [illegible] შემცირდა.

— 7 ნოემბერს გუჩკოვის თავჯდომარეობით პეტერბურგში ოქტომბრისტების კონფერენცია მოხდება.

— პეტერბურგის ფოშტის მოხ გამოტყდა—150 ათასი მანეთი გავ ცეო. უნახეს მაწაში დაფლული 92 ასი მანეთი.

ქუთაისელ ქალებს.

ვიყავი პარასკევს ჩვენს ჩვეულებრივ კრებაზე; მიუხედავათ იმისა, რომ პირველ პარასკევს კრება არ შესდგა წევრების მოუსვლელობის გამო, მაინც ძალიან იმედი მქონდა, მეორე პარასკევს ბევრი ქალი დაესწრებოდა. იმედი მქონდა—ერთი წლის წრის არსებობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა, გაუღვიძებდა ქუთაისელ ქალებს სიყვარულს საზოგადო საქმისადმი, სიხარულით გულს აუძგერებდა მათი მომავლის გაუმჯობესების წინაგრძნობით, ძალას გაუასკეცებდა და ფრთებს შეასხამდა თვით შეგნების სურვილს. ასე მეგონა, მაგრამ საუბედუროთ დავრწმუნდი, რომ ქალებმა საშიში გულცივობა გამოიჩინეს და ამ ოთხი თვის დასვენებას შემდეგ, ძალის გაღონიერების მაგიერათ სულ მოდუნებულა მათში გაღვიძებული წინმსვლელობის ნდომა. გასულ წელსაც გააკვირებდა მეთვალყურეს გულგრილობა ქუთაისელი ინტელიგენტი ქალებისა თავის წრისადმი. ძალაუნებურათ მისცემდი თავს კითხვას: ნეტავ, სად არიან ახლა ეს ქალები, როცა იქ არ არიან, სადაც უნდა იყვნენ? ნეტა ვის და რას ემსახურებიან, როცა თავისი ინტერესების დასაცველი ადგილისთვის ვერ მიუგნიათ? იტყვის ამას ცოდვილი ადამიანი და თან დაუმატებს: სირცხვილი არ არის, რომ სწორეთ ის ნაწილი ქალების საზოგადოებისა გაურბოდეს ამ წრეს, რომელსაც უფრო მეტი მოეთხოვება?

ესენი არიან მასწავლებელი ქალები: იმათგან ძალიან მცირე ნაწილი ესწრება ქალთა საზოგადოების კრებას.

ტყუილი იმედია, თავისით არ გამოცხვება ის უფლებები, რომელიც ჩვენთვის ასე საჭიროა, არც გამოჩნდება ვინმე, რომ პრომეთეოსის მზგავსათ მოსტაცოს აკრძალული ბედნიერების ცეცხლი იმათ, ვისაც ის ქალისთვის არ ემეტებათ.

მაშასადამე ჩვენ თვითონ უნდა ვეცად შევკავშირდეთ, რათა მოვ-პოოთ აუ ლებელი ძალა ბრძოლისთვის.

დაარსდა კავშირი ქალებისა რამდ მე პირის მეცადინობით... მივაშურ იქითკენ, გავამაგროთ ეს წრე, რო რო ძლიერი იქნეს მომავლისთვის ბრ ლაში.

მიკითხავს ხოლმე რომელიმე ინ გენტკა ქალისთვის; რატომ ქალების ბაზე არ მოდიხართ-მეთქი?—და პასუ მიმიღია: „რა მინდა რომ წამოვიდე, ფერია საინტერესოო!“

აი, პასუხი ჩემის აზრით სრულიად გ გებარი.

განა ჩვენზე არ არის დამოკიდებუ თუ როგორი იქნება საზოგადოების კრ თითოეულს ჩვენგანს შეუძლია გა დოს ის საყურადღებოთ, თუ კი სიყ რულს საქმისადმი გამოიჩენს. ან შეიძ ბა წრის მუშაობის მიმართულება მოსწონდეს ზოგიერთებს და ამი გაურბოდენ მას? ესეც გაუგებარია, იციან, რომ აქ დასრულებული არაფ გვაქვს წრის სახით! ვმუშაობთ, უ ვიმუშაოთ და თუ თითოეული ჩვენგ შესაძლებელ შრომას არ დაიშურ საქმეც სასურველ სახეს მიიღებს.

უკვე არსებულ ნაპერწკალს ნუ ჩა ქრობთ, ვეცადოთ გავაღვივოთ იგი გაძლიერებული ცეცხლით ყველა ბრკოლება, რაც ჩვენ წინსვლას ელობე მოვსპოთ.

ქალი.

თფილისის პრესის აზრი ფოცხვერაშვილის მუსიკა

(გაზეთი „ზაკავკაზიე“, 1912 10, 1

(წერილი შემოკლებულია).

... კ. ფოცხვერაშვილის კონცერ რომელიც გაიმართა თფილისის სახა ხო სახლში 1912 წ. 7 ოკტომბ ერთ უდიდეს მოვლენათ უნდა ჩაით ლოს ქართული მუსიკის აღორძინების ქმეში.

ეს საზოლოო კონცერტი იყო მომამზადებელი ხანისა, რომელიც ოცდახუთი წლის წინათ დაიწყო სხ დასხვა მუშაკმა ქართული მუსიკის ა რეზზე. ვრცელი პროგრამა კონცერ

ეროვნული საკითხი

(„ნარიძის“ წერილების გამო.)

1) პოლონეთი.

ა) პოლიტიკური ცხოვრება.

ორგანიული მუშაობა 1865—1886 წ.

ამ დროს საზოგადოებას აღარ მიაჩნდა აჯანყება განთავისუფლების საშვალებად და ორგანიულს, მშვიდობიანს კულტურულ მუშაობას მიყო ხელი.

მაგრამ მთავრობა მაინც განაგრძობდა დევნას. მიუხედავად 30 აგვისტოს 1864 წ. და 5 იანვ. 1866 წ. „უქაზებისა“, 1869 წელს პოლონური ენა გააძევეს საშუალოსა და უმაღლესი სასწავლებლებიდან. და 1873 წ. რუსული ენა დაბალ სასწავლებელშიც კი შეიტანეს. პოლონური ენა აკრძალეს აგრეთვე ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და სასამართლოში. ბეჭდვითი სიტყვა შეხუთეს მკაცრი ცენზურით.

რუსეთის მთავრობის საქციელმა წაათამამა პრუსია, რომელმაც აგრეთვე გააძევა პოლონური ენა პოზნანის საჰერცოგოში ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან და შკოლიდან.

გალიციაში კი მოიპოვა უფლება პოლონურმა ენამ 1866 წლიდან.

მთავრობამ გაათავისუფლა პოლონელი გლეხები 1864 წ. უმიწოთ, თუმცა მათ მაინც მეტი მიწა მიასაკუთრა, ვიდრე რუსის გლეხებს. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ 22 იან. 1863 წ. პოლონეთის რევოლუციონურმა კომიტეტმა გაათავისუფლა გლეხები მიწით და რუსის მთავრობას გაუჭირდებოდა ჩამოერთმია მათთვის მთლათ უკვე ხელში დაჭერილი მამულები.

ორგანიული მუშაობის ხანაში ძლიერ განვითარდა მრეწველობა. რამდენსამე წელს გაჩნდა სხვადასხვა სამრეწველო კერა: ლოძი, ჩენსტოხოვი, ჟირარდოვი, დომბროვა, სოსნოვიცი და სხ.

გაიზარდა პროლეტარიატი და აღმოცენდა სოციალისტური მოძრაობა. 1877 წლიდან ვარშავაში დაიწყო პროპაგანდა სოციალიზმისა ვარინსკის მეთაურობით. 1879 წელს გაანადგურეს ეს ორგანიზაცია და, ვინც გადარჩა, გაიქცა საზღვარგარეთ. 1 ოკტომბრიდან 1879 წლისა ჟენევაში გამოდის სოციალისტური ორგანო „თანასწორობა“, რომლის მიმართულებაც იყო ფედერალისტური ანარქიზმი. პირველი სოციალისტები უარყოფდენ პოლონეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. 1880 წელს შესდგა ვარშავაში წრე, „პოლონელი ხალხი“, რომელიც აღიარებდა ერთსა და იმავე დროს სოციალიზმსა და პოლონეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ამ წელსვე დაიჭირეს 137 სოციალისტი და უმეტესობა გადაასახლეს ციმბირში. თებერვალსა და მარტში ამავე წლისა დააპატიმრეს აგრეთვე ბევრი წევრი „პოლონელი ხალხისა“. 1881 წლის ბოლოს ევროპიდან ვარშავში მოვიდა ვარინსკი, რომელმაც მოაწყო მუშათა წრეები. ამ წრეებმა შეადგინეს პარტია, „პროლეტარიატი.“ მათი ორგანო „განთიადის წინ“ აღიარებდა ავტონომიასა და ფედერაციას.

1883 წ. მოხდა ვილნოში „პროლეტარიატის“ წარმომადგენელთა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ პოლონეთისა, ლიტვისა და ბელორუსიის ყველა სოციალისტური ორგანიზაცია შეერთებულიყო ტეხნიკურათ. ამ დროს „პროლეტარიატს“ დიდი ძალა ქონდა. 1884 წელს მოხდა შეთანხმება რუსეთის „ნაროდნაია ვოლიასთან.“ 1885 წელს მთავრობამ გაანადგურა „პროლეტარიატი.“

1886 წელს პოლონეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ არ არგია ბედთან შერიგება, სრული მორჩილობა და ქედმოხრილობა, არამედ, პირიქით, საჭიროა ბრძოლა ეროვნული თავდაცვისათვის, ბრძოლა მშვიდობიანი, მაგრამ იმავე დროს მედგარი, შეუპოვარი და სისტემატიური. დასრულდა აგრეწოდებული ორგანიული ხანა.

პატრიოტული და სოციალისტური მოძრაობა.

ეროვნული დევნა გაძლიერდა. 1886 წელს პოზნანის საჰერცოგოდან გააძევეს 30,000 პოლონელი რომელიც კი არ იყო პრუსიის ქვეშევრდომი. ამ წელსვე გამოიცა პრუსიის ლანდტაგში განსაკუთრებული კანონი გერმანელთა ახალშენების შესახებ პოზნანის გასაგერმანელებლათ.

1883 წელს დაინიშნა ვარშავის გენერალგუბერნატორათ გურკო, რომელმაც სასოფლო სამართველოებშიც კი შეიტანა პოლონური ენა. პოლონელ გლეხებს დაავიწყდათ ბატონყმობის გადავარდნა. ხალხმა ვერ შეითვისა ახალი წესები. მისი უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა.

1886 წ. დაარსდა შვეიცარიაში საზოგადოება „პოლონური ლიგა“, რომლის მიზანიც იყო აღდგენა დამოუკიდებელი პოლონეთისა მისი ისტორიული საზღვრებით. ლიგამ დაიწყო ფულის შეკრება „ეროვნული ფონდისათვის“. მეოთხმოცე წლების დამლევს გამოდიოდა ვარშავაში ჟურნალი „გლოსი“ (ხმა), ორგანო პოლონელი ნაციონალ-დემოკრატებისა. ოკტომბერში „გლოსმა“ გამოაცხადა თავი გლეხებისა და მუშების დამცველათ, მაგრამ იმავე დროს ისახავდა მიზნათ ბრძოლას კოსმოპოლიტურ სოციალიზმთან. ამ ჯგუფის ყველაზე უფრო გავლენიანი წარმომადგენელნი იყვნენ: იოსებ პოტოცკი და იან პოპლავსკი, ერთი ახლანდელი მეთაური ხალხოსნურ-დემოკრატიული პარტიისა. ნელნელა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს ეს ჯგუფი და ხსენებული „ლიგა“ და ბოლოს ქმნიან ერთს ძლიერ პარტიას „ხალხოსნური დემოკრატიისას“.

ამ ბანაკში არ იყო პირველად გარკვეული სოციალური მიმართულება: აქ შლიახტაც ერია, სოციალდემოკრატიაცა და სხვაც, ვისაც კი სწამდა ეროვნული იდეალი. და ათი წელი დასჭირდა მის განწმენდას, ვიდრე არ ჩამოყალიბდა, როგორც პარტია საშვალოსი და წვრილი ბურჟუაზიისა.

ოთხმოცდამეათე წლების დამდეგს პატრიოტულმა მოძრაობამ ჩაითრია დიდი ნაწილი ინტელიგენციისა. 3 მაისს 1891 წლ. ვარშავაში მოხდა დემონსტრაცია 1791 წ. 3 მაისის კონსტიტუციის დღის აღსანიშნავათ. 1894 წელს მოხდა მეორე დემონსტრაცია კოსტიუშკოს აჯანყების დღის მოსაგონებლათ. ამან გამოიწვია „გლოსის“ დაკეტვა, პატრიოტების დაპატიმრება და მათი მეთაურების გაქცევა გალიციას. იდეა ეროვნული თ დაცვისა შეადგენს პოლონელი ინტე გენციის უმთავრეს სულიერ შინაარსს.

იმავე დროს „შერიგების“ მომხრ ანუ „უგოდოვცები“, აარსებენ ვარ ვაში ჟურნალ „სლოვო“-ს („სიტყვა“) პეტერბურგში „კრაი“-ს („კუთხე“). შე დგომაზე 1897 წ., როდესაც იმპერა რი ნიკოლოზ II ეწვია ვარშავს, მთ პოლონელი საზოგადოება უცებ გად და „უგოდოვცებისკენ“. მაგრამ ო მოცდამეათე წლების ბოლოს საზოგად ბა ისევ ნაციონალ-დემოკრატებს მი რო.

1887 წელს განახლდა „პროლეტ ატი“. ამ ორგანიზაციამ მიაღწია 1 წლამდე. „პროლეტარიატი“ ებრძ პატრიოტებს და ქადაგობდა „ნაროდ ვოლიასთან“ კავშირს. თუმცა ბევრი სი გავლენიანი წევრი დაატუსაღეს, რამ 1889 წელს მაინც ეს ჯგუფი მძღვანელობდა ბევრ გაფიცვას. 1889 წელს გამოდის პარიზში ჟურნ „ნიშანი“ („Погудка“), რომელი გაგძელება „პოლონელი ხალხისა“ აღიარებდა, მაშასადამე, სოციალ და პოლონეთის დამოუკიდებლობა მაისს 1891 წ. პოლონელმა სოციალ ტებმა გამართეს მუშათა დიდი დემონ რაციები ჟირარდოვკასა, ლოძსა და შავაში.

ამასთანავე ყველა სოციალისტურ პ ტიაში არის ჩაქსოვილი პატრიოტუ ეროვნული მიმართულება. 1892 წ. შავის მუშათა წრეებში დიდი დავა ეროვნული საკითხის შესახებ. წლის შემოდგომაზე მოხდა პარიზში ლონელი სოციალისტების კრება,

ა გამოთქმული იყო საუცხოოთ შემუშავებული ქართული სიმღერების ენითა და ჩვენი მუსიკის გაბედული რთული ტეხნიკით. უზარმაზარი კონცერტი, ხელოვნურ სიმღერათა და სხვა ნაწარმოებთაგან შემდგარი, ნამდვილი გამუქება იყო ქართველი ერის მაღალ გრძნობათა და ყოველი მოაზროვნე—მსმენელი მიყავდა სამუსიკო შემოქმედების ახალ ფორმებისკენ, რომელიც ქართველთა მელოდიურ აზროვნობაში სულ სხვაა, ვიდრე ევროპაში...

ხალხური სიმღერების შემუშავებაში (კუჩხა, მურმან, ვახტან, გოგონა) კ. ფოცხვერაშვილი სრულიად ხასიათდება, როგორც ნამდვილი მცოდნე ხალხური სიმღერის ინსტრუმენტოვკისა. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთს მეტ ნოტსა და ვერც ერთ გადამეტებულ ხაზს. ყველაფერი ნამდვილი ჰარმონიული ნიჭითა და ალღოთია აწონილ-გამოზომილი და გადაჭრილი, ყველაფერი კეკლუცი და გამჭვირვალეა... „კერპთა დამხობის“ ნუმრებზე სულ სხვანაირათ უნდა ვიმსჯელოთ. აქ ფოცხვერაშვილი უნდა ავსწონ-დავსწონოთ და დავაფასოთ, როგორც შემოქმედი, რომელმაც ახალი სიტყვა თქვა ქართულ მუსიკაში.

ამ ოპერიდან საყურადღებოა „ქურუმთა და ქურუმ-ქალთა საღვთო როკვა“. ეს ნუმერი შესდგება სამი ნაწილიდან: ალეგრო, ადაჟიო და პრესტო.

პირველი ნაწილის, ალეგროს, თემა შესანიშნავია მელოდიის ციკლიური წყობილობითა და ორიგინალური რითმით, რომელშიც აქცენტები ფარდის პირველსა და მეოთხე ნაწილებზეა.

მელოდიას უკრავენ ვიოლონჩელო და ფაგოტები, რომლებიც დამყარებულია კონტრაბასის პედალზე.

მეორე ნაწილი, ადაჟიო, საინტერესოა რელიგიურ-მისტიური ხასიათითა და მელოდიური სტილით. მესამე ნაწილი, პრესტო, საგულისხმოა, როგორც რითმით, ისე ჰარმონიით. მთელი როკვა თავდება არაჩვეულებრივის „კოდით“, რომელიც მასში გამოიხატება, რომ კორნეტი თანდათან ამოკლებს მელოდიას, ბოლოს ტრელში გადადის და აქ ორი მძლავრი აკორდი ლამი გამოთქვამენ ნუმრის გათავებას.

კიდევ უფრო საყურადღებოა, როგორც ორიგინალური მელოდიით, აგრეთვე ტეხნიკური წყობილობითაც არია (ლოცვა) ქურუმ-ქალისა. გძელი მისტიური მელოდია ვალტორნის პედალზე სიმებიანი საკრავების პიჩიკატოთი მიდის. განსაკუთრებით ორიგინალური და ლამაზი არის ამ პიესის ბოლო, რომელიც დაფუძნებულია კუნდის პედალზე (მი) და, რომელიც თავდება გაწყვეტილი კადენციით (სი). ოპერის ფინალი (ჰექა-ქუხილის სცენა) თავის აზრიანობით კიდევ უფრო დიდებულია. აქ არის ქარის ზუზუნი, ელვა, ჰექა-ქუხილის თანდათანი გაზრდა-გაძლიერება—და ყველა ეს საუცხოოთ დასურათებულია შესაფერ ინსტრუმენტებით...

უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. ფოცხვერაშვილი დიდი სამუსიკო ცოდნისა და კომპოზიციის ტეხნიკის მქონეა.

ამასთანავე ესეც ეჭვს გარეშეა, რომ იგი დიდი, სალი, ფართო და თავისებური ტალანტით არის დაჯილდოვებული...

ი. კარგარეთელი.

ყურადღება ძველ ნაშთებს.

ყველასთვის აშკარაა, რომ ჩვენი ერის აწმყო მჭიდროთ შეკავშირებულია წარსულთან და, რამდენათაც სრულია ჩვენი ცოდნა უკანასკნელზე, მით უფრო გვიადვილდება მისი გაკვლევა.

შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ერი, რომელიც თავის წარსულს, თავის ისტორიას გულგრილათ ეტანება, სწრაფი ნაბიჯით დაქანებულია დაღუპვის გზაზე.

ამიტომ არის, რომ ყოველი ცოტათ თუ ბევრათ კულტურული ერი ცდილობს გულმოდგინეთ შეისწავლოს თავისი სამშობლოს წარსული, თავი მოუყაროს ისტორიულ ნაშთებს, დაიცვას ის, რათა შთამომავლობას ამით საშვალება მისცეს ეს წარსული მეცნიერულათ გაარკვიოს.

ჩვენც, ქართველებმაც შევიგნეთ ასეთი წარსულის შესწავლის დიადი მნიშვნელობა და, ჩვენდა სანუგეშოთ, აღსანიშნავია, რომ ამ მხრით საგრძნობლათ წინ წავიწიეთ.

დღემდი ჩვენი მრავალი ძვირფასი ნივთი და სიძველე უცხოელებს მიქონდათ და ათავსებდენ თავის მუზეუმებში, და ბევრი მათგანი კიდევაც დაკარგულა.

და აი, ამ დროს სწორეთ რომ დაუფასებელი ღვაწლი დასდვა ქართველობას ბ. ე. თაყაიშვილმა; მან ითავა ჩვენი გაბნეული ნივთებისა და სიძველეთა ერთ ადგილას თავის მოყრა. მისი დაუღალავი ენერგიისა და შრომის წყალობით ჩვენი „ნაციონალური მუზეუმი“ დღეს მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული. ასე რომ საშვალება გვეძლევა ჩვენი სამშობლოს წარსულის ყოველმხრივი შესწავლისთვის.

ქ. ქუთაისშიც იწყო ამ ერთი წლის წინათ მოქმედება ისტორიულმა და ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელიც ბევრის გაკეთებას გვიქადის.

გარდა იმ ნივთებისა, რომელიც უკვე შეიძინა ამ საზოგადოებამ, მან ამ ზაფხულს რამდენიმე კაცი დაგზავნა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ნივთების მისაგროვებლათ.

მეც, ამ სტრიქონების დამწერი, გახლდით ამ საზოგადოების მონდობილობით ოდიშის ზოგიერთ სოფელში და შეძლებისადაგვარათ ავასრულე დავალება.

როდესაც სოფლელებს ვუხსნიდი საზოგადოების დანიშნულებასა და მოვალეობას, ყველა სიამოვნებით გვითმობდა თავის ნივთებს. ბევრი მპირდებოდა ძველი თოფებისა და დამბაჩების მომავალი წლისათვის ჩამოტანას, რადგან მიყრუებულ სოფლებში ქონდათ გადამალული რეაქციის შიშის გამო. ზოგიერთები ეჭვითაც მიყურებდენ და ეშინოდათ—ვაი, თუ უნდა გამოგვტყუოს იარაღები და მერე დავიდარაბა აგვიტეხოსო.

საერთოდ უნდა აღვნიშნო ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელსაც შევხვდი აქაურ სოფლებში. მხედველობაში მაქვს აქაურ მცხოვრებთა ბარბაროსული მოპყრობა ძველი ნაშთებისა. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს ძველ ციხე-კოშკებსა და ტაძრებს გამოუვლიათ ბევრი ჭირი და ჯერაც შენახულა და სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენს. ბევრი შეუგნებელი ხალხი აცლის ამ ნაშთებს თლილ ქვებს და ძველი შენობა თანდათან იქცევა. მაგალითად, ს. ნაქალაქევში გავრცელებულია ქვების მოპარვა, აქ თითქო ჩვეულებათაა გადაქცეული. ასევე ემართება ჩვენი ეკლესიების ძველ მხატვრობას. მაგ.. იმავე სოფელში ეკლესიაა ორმოცი წმინდანის სახელობაზე. ამ ეკლესიის შიგნით კედლებზე დარჩენილა ჩვენი ძველებური მხატვრობა, წმიდანები, სხვადასხვა წარწერა, გრაგნილი და სხ. უმეცართ ყოველივე ეს კირით შეუთხუპნიათ. ასე რომ ახლა ზოგი წმიდანის ცხვირს ან თვალს, ზოგიერთს ასოს თუ გაარჩევთ, თვარა მეტ ვერაფერს იპოვით.

ჩვენი ძველი ნივთებიც ასევე ნადგურდება. ერთმა გლეხმა მითხრა, რომ რაღაც წიგნი მქონდა, ძლიერ სქელი ფურცლებიანიო, სადაც ხუცურათ რაღაც ეწერაო. მაგრამ ჩემმა ცოლმა დახია და ზედ ყაჭი დასვაო.

საჭიროა ამიტომ დროით მივეშველოთ ძველ ნაშთებს, მეტის ენერგიით მოვეკიდოთ ამ საქმეს.

სტ. გრ. ცეკვაშვილი.

სახელმწიფო სათათბირო

15 ოკტომბრის სხდომა.

სათათბიროს სხდომები ეკატერინეს სასახლის დარბაზში გაიხსნა. სხდომის გახსნის წინ ევ. ანატოლიმ კრებულით პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისს დაესწრო სათათბიროს თავჯდომარე, მისი ამხანაგი და მრავალი დეპუტატი. სხდომის გახსნას ბევრი გარეშეც დაესწრო. იმღერეს ნაციონალური ჰიმნი. თავჯდომარე და მისი ამხანაგი თავის ადგილს იჭერენ. თავჯდომარე მუშაობის განახლების გამო მისალმების სიტყვას ამბობს. განსაზღვრავენ სხდომის დღეს. საზოგადო სხდომა იქნება სამშაბათსა და პარასკევს. დღიური სხდომა ოთხშაბათობით. საღამოს სხდომაზე სპეციალურათ შეკითხვებს განიხილვენ. თავჯდომარის ადგილს იჭერს თავადი ვოლკონსკი. ნაფიც-მსაჯულთა დანიშვნის შესახებ კანონპროექტი უკამათოდ მიიღეს. პროექტში აღნიშნულია ნაფიც-მსაჯულის შრომის და, თუ წასვლა მოუხდა, გზის ფასი. მიიღეს კანონპროექტი ლომბარდების შესახებ. ამ კანონპროექტში შჩეპკინმა კადეტების სახელით შესწორება შეიტანა. გრ. კაპნისტი მეორე ტელეფონების შესახებ კანონპროექტს მოხსენებას უკეთებს. თავჯდომარის ადგილს როძიანკო იჭერს. აქვეყნებენ კადეტების საჩქარო შეკითხვას პრესის წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ. შეკითხვა ეხება საზოგადოთ პრესის დევნასა და კერძოთ ბეილისის საქმეს. **მილიუკოვი** მხარს უჭერს შეკითხვის საჩქაროთ მიღებას, და აღნიშნავს: წლევანდელი წელი პრესის დევნის მხრით სხვა წლებთან შედარებით ერთი უსასტიკესი წელთაგანია, გაზეთის საქმის მუშებმა არ იციან, რისთვის აჯარიმებენ გაზეთებს. ბეილისის საქმის გამო ჯარიმები განსაკუთრებით გახშირდა. სასამართლოს შემწეობით პრესის დადუმება ვერ მოახერხეს. ცენზურა ცდილობს პრესის დევნით ამ საქმის საზოგადოების წინაშე გამოტანას ხელი შეუშალოს. პრესა თავის მოვალეობას აასრულებს, რათაც უნდა დაუჯდეს. როდესაც იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა აასრულოს პრესამ თავისი მოვალეობა, მაშინ თქვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორ დაკარგა მთავრობამ მიუდგომლობა. ის გადაიქცა მანქანათ, იარაღათ კიევის პროცესის საქმეში. **თავჯდომარე** სთხოვს კიევის პროცესს არსებითად ნუ შეეხება. **მილიუკოვი** განაგრძობს: ხალხის წარმომადგენელს სრული უფლება აქვს გამოსთქვას იმის შესახებ თავის აზრი, რაც მთელ რუსეთს აღელვებს. ორატორი სთხოვს სათათბიროს გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება იმ ბნელ საქმესთან, რომელიც რუსეთს ჩირქს სცხებს. თავჯდომარე აჩერებს მილიუკოვს. ისმის ტაშისცემა ცენტრიდან. მილიუკოვი განაგრძობს; თავჯდომარე კიდევ აძლევს შენიშვნას:—ილაპარაკეთ საქმეზე, ნუ შეეხებით პროცესს, რომლის შედეგიც ჯერ არაა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვას წაგართმევთო. **მილიუკოვი** ეხება ზამისლოვსკის. დარბაზში საშინელი ხმაურობაა. ისმის მარჯვნიდან პროტესტები. თავჯდომარე მილიუკოვს წესიერებისაკენ მოუწოდებს. მილიუკოვი თავის სიტყვას ასრულებს: დროა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ ვკისრულობთ ამ პროცესის პასუხისმგებლობას, ჩვენ გვსურს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის სიმაღლეს მიაწიოს რუსეთის უფლებამ, ნებამ და ეს საზოგადოებრივი აზრი ხალხს, მასას ანგარიშს უწევდეს და არა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თავისდაცვისთვის მოსყიდულ ნაძირალებს იშველიებს. (ტაშისცემა მარცხნით) **პურიშკევიჩი** აცხადებს ზამისლოვსკის პატიოსანი სახელი ყოველგვარ ინსუნაციაზე მაღლა სდგასო. ეხება ებრაელებს, აღნიშნავს, რომ იმათ მოიყიდეს ხალხი. თავჯდომარე სთხოვს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეს ნუ შეეხებიო.

დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

პეტერბურგი. [illegible] სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტებს: პრესის, [illegible] თან საზ[illegible] მდგომარეობისა და სხვათა შესახებ. სხვა მრავალ კანონპროექტთა შორის სათათბიროში შეიტანეს პროექტს ფინლანდიის დაწესებულებებში რუსული ენის ხმარების შესახებ.

მოსკოვი. გარდაიცვალა პროფესორი ბახმეტიევი.

ბუნებისმოყვარეთა საზოგადოებამ კოკოვცოვი საპატიო წევრათ აირჩია.

ნოვოჩერკასკი. ერთი ავათმყოფი მოკვდა. ახალი არავინ გამხდარა ავათ. ბრესლავსკის მაზრაში ფერშალი მოკვდა. [illegible] არავინ გამხდარა შავიჭირით ავათ.

უცხოეთი.

თეირანი. რუსეთის რწმუნებულს რეგენტმა შაჰის სახელით სალარუდ-დოულეს განდევნაში დახმარების გამო მადლობა გადაუხადა. რუსეთის რწმუნებული რეგენტთან სააუდენციოთ იყო.

ლონდონი. ლიბერალთა კრებაზე გრეიმ ჰომრულის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა. ასკვიტის სიტყვა დაამოწმა და განაგრძო: მთავრობა მზათაა, რომ ძალას ძალა დაუპირდაპიროს, თუ ულსტერმა განახორციელა თავისი მუქარა, მაშინ მთავრობა მზათაა ასკვიტის მიერ წამოყენებული საკითხი მშვიდობიანათ დაბოლოოს. კრებაზე მინისტრმა დეპუტაცია მიიღო. დეპუტაცია თხოულობდა ქალებს საარჩევნო ხმა მიენიჭებოდა. მინისტრმა უპასუხა—დღევანდელმა პარლამენტმა, რომ ამის შესახებ პროექტი მიიღოს, ამის იმედი არაა, საყოველთაო არჩევნებს შემდეგ, შეიძლება, პარლამენტის წევრთა შეხედულობა, შეიცვალოს და მაშინ შესაძლებელია ეს კანონიც გავიდეს.

რომი. საპარლამენტო არჩევნები გძელდება. აირჩიეს 190 მინისტრთა მომხრე, 43 რადიკალი, 15 ოპოზიციონერი კონსტიტუციონალისტი, 20 კათოლიკე, 26 სოციალისტი, 16 სოციალისტ რეფორმატორისტი და 10 რესპუბლიკელი. კიდევ უნდა აირჩიონ 74 დეპუტატი.

ბელგრადი. ბერძენთა კომისია მოვიდა.

მადრიდი. დატომ კაბინეტი შეადგინა. გარეშე საქმეთა მინისტრათ მარკიზი დაინიშნეს,

რომი. კოკოვცოვი უკეთ შეიქნა. ციების ნიშნები ახლა არ აქვს.

კ. მენდესიდან.

⁂

არ ვისურვებდი იმის შეტყობას, თუ რა ხდება ვარსკვლავის გადაღმა მხარეში.

ვინ უწყის, რას მალავს მისი ელვარება!

შეიძლება იქ უძირო უფსკრული იყოს, ადუღებული ლითონი, საშინელი ხრამი, გამქრალი, გაცამტვერებული, მკვდარი ქვეყნისა.

არ ვისურვებდი გამეგო, რაც ხდება

ელმაც აღიარა პოლონეთის დამოუკიდებლობა. ამ კრებაზე დაიბადა ყველაზე უფრო ძლიერი სოციალისტური პარტია, „პოლონელი პარტია სოციალისტებისა“, ანუ პ. პ. ს., რომლის პროგრამაც ჩამოყალიბდა 1893 წელს. სოციალისტთა ნაწილი გამოეყო ამ პარტიასა და დაარსა „სოციალდემოკრატიული პარტია პოლონეთის სამეფოსი“, რომელიც ორ წელს შემდეგ მოისპო. პ. პ. ს.-ის პარტიამ კი ძლიერი ორგანიზაციები შექმნა. 1894 წლიდან გამოდის მათი ორგანო „მუშა“.

იმავე დროს პატრიოტებმა, რომელნიც ეკუთნოდენ „სახალხო ლიგას“, შექმნეს მჭიდრო ორგანიზაცია „ნაროდოვა დემოკრატია“ (1896 წ.). მისი ორგანო „მთლად პოლონეთის მიმოხილვა“ გამოდის გალიციაში. რაც შეეხება ამ პარტიის პოლიტიკურ მიმართულებას, 1899 წ. აღიარებდა სრულ დამოუკიდებლობას, ახლა კი ეროვნულს-ტერიტორიალურ ავტონომიას. 1896 წ. მათ გამოსცეს კრაკოვში ჟურნალი „პოლიაკ“, რომელიც ძლიერ გავრცელდა გლეხებში.

1600 წელს იბადება ახალი სოციალისტური პარტია „პროლეტარიატი“, რომელიც აღიარებს ავტონომიასა და, თუ შესაძლებელი იქნება, დამოუკიდებლობასაც. იმავე წელს ჩნდება „სოციალდემოკრატია პოლონეთის სამეფოსი“, რომელიც 1904 წელს უარყოფს დამოუკიდებლობას, თუმცა შემდეგ აღიარებს ავტონომიას.

1904—1907 წ. ამბები.

13 ნოემბრიდან 1904 წლ. პ. პ. ს—მ, ე. ი. პოლონეთის პარტიამ სოციალისტთა შექმნა დიდი მოძრაობა ქალაქებში.

ცოტა ხანს შემდეგ „ხალხოსნურმა“, ანუ “ნაროდოვცების“ პარტიამ აამოძრავა გლეხები და მოათხოვია პოლონურ ენაზე საქმეების წარმოება სასოფლო სამართველოებში.

იმავე დროს პროგრესიულმა ინტელიგენციამ, რომელიც შემოიკრიბა გარს ალექსანდრე სვენტოხოვსკის მიერ გამოცემულმა ჟურნალმა „სიმართლემ“, შეადგინა ახალი პარტია: „კავშირი პროგრესიული დემოკრატიისა“, რომელმაც აღიარა ეროვნულ—ტერიტორიალური ავტონომია პოლონეთის სამეფოსი.

დიდს საერთო სარუსეთო მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო პოლონელმა ხალხმა. 9 იანვარს 1905 წ. პეტერბურგში მომხდარი ამბების გამო გაიფიცა პოლონეთში 600.000 მუშა.

ამ მოძრაობამ შეაერთა დროებით ყველა პარტია. 1904 წლის გასულს მოხდა პარიზში კონფერენცია პოლონეთის ნაციონალდემოკრატებისა და სოციალისტებისა რუსეთის კონსტიტუციონალისტებთან და სოციალისტებთან ერთად. აპრილში 1905 წ. მოხდა მოსკოვში კრება, რომელშიც მონაწილეობდენ პოლონეთის ნაციონალდემოკრატები და რუსეთის კადეტები, ე. ი. კონსტიტუციონალდემოკრატები, მათ შორის მილიუკოვი, კოკოშკინი, როდიჩევი და სხ. პოლონელებმა მოითხოვეს ავტონომია.

ამავე დროს პ. პ. ს-მა მოითხოვა დამწესებელი კრების მოწვევა ვარშავაში და ფედერაცია პოლონეთსა და რუსეთს შორის.

ამასობაში იფეთქა საშკოლო გაფიცვამ.

ავტონომია თანდათან საერთო მოთხოვნილებად გადაიქცა.

გაზაფხულში 1905 წ. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიებმა შექმნეს დიდი მოძრაობა. და, თუმცა მთავრობა სამხედრო წესები შემოიღო ვარშავასა და ვარშავის მაზრაში, მაგრამ ოკტომბერში 1905 წ. პოლონეთის მუშებმა მაინც მიიღეს მონაწილეობა საერთო გაფიცვაში.

17 ოკტომბრის გაფიცვამ გამოიწვია საერთო მხიარულება და გაფიცვები. ვარშავის დიდ დემონსტრაციაში 22 ოკტომბერს 200.000 კაცი იქნებოდა მონაწილე. დმოვსკის სიტყვით უმეტესობა მანიფესტანტებისა ეკუთნოდა ნაციონალდემოკრატიას.

17 ოკტომბერს ახსნილი სამხედრო წესები მალე ხელახლა შემოიღეს და გაავრცელეს მთელ პოლონეთზე.

და მთავრობამ დაუწყო დევნა, როგორც სოციალისტებს, აგრეთვე ნაციონალდემოკრატებს.

დეკემბრის გაფიცვასაც დაუჭირეს მხარი პოლონელმა მუშებმა, მაგრამ იმედი აღარა ქონდათ და ეს გაფიცვა ამიტომ ვერ იყო ერთსულოვანი.

პოლონეთმა გააგზავნა პირველ სათათბიროში ნაციონალდემოკრატები, რომელთაც მოითხოვეს ავტონომია. სათათბირო გულგრილათ შეაგება მათს დეკლარაციას. კადეტების მოქმედებაც კი ორჭოფი იყო.

8 ივლისს 1906 წ. დაითხოვეს პირველი სათათბირო.

1905 წელს დაარსდა განმანათლებელი საზოგადოება საშკოლო მატიცა“, რომელმაც ერთ წელს დააარსა შვიდასზე მეტი შკოლა.

რადომში დაარსდა „სახალხო უნივერსიტეტი რადომის მიწისა“, რომელიც ეცილებოდა „მატიცას“, ლოძში „საზოგადოება სახალხო განათლებისა“, რომელმაც მიზნა დაისახა მეცნიერების პოპულიარიზაცია, ვარშავაში „უნივერსიტეტი ყველასათვის“. დაარსდა ამას გარდა „პოლონური კულტურის საზოგადოება“, რომელსაც ქონდა მრავალმხრივი მიზანი... ვარშავაში შენობებს ველარ შოულობდენ, იმდენი იყო ლექტორი და მასწავლებელი. სოფლებში გაჩნდენ სამეურნეო წრეები, ანუ სინდიკატები.

დაარსდა მეცნიერული საზოგადოებანი, საჯარო წიგნსაცავები და სხ.

და ბოლოს მოეფინა ქვეყანას გიმნასტიური ორგანიზაციები.

მაგრამ რეაქციამ მოსპო თითქმის ყველა ხსენებული საზოგადოება და ორგანიზაცია.

1906 წ. პ. პ. ს. გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი „პრავიცა“ უბრუნდება ისევ „პოლონეთის დამოუკიდობლობის იდეალს“, მეორე („ლევიცა“) აღიარებს ავტონომიას.

1907 წელსაც ხალხოსნები (ნაროდოვცები“) აირჩიეს სათათბიროში. მათი ლიდერი იყო დმოვსკი. მათ შორის არიან შესანიშნავი სპეციალისტები: ფინანსისტი ჟუკოვსკი, მცოდნე გმინის (სასოფლო სამართველო) თვითმართველობისა კონიცი, ეკონომისტი სტეცკი, გლეხთა საკითხის ისტორიკოსი გრაბსკი და იურისტი ნოვოდვორსკი.

აღსანიშნავია, რომ პრუსია და რუსეთი ყოველთვის ერთსულოვანათ აწარმოებდენ პოლიტიკას პოლონეთის შესახებ. პრუსია ყოველთვის წინააღმდეგი იყო რეფორმებისა რუსეთის პოლონეთში, რადგან მაშინ იძულებული შეიქნებოდა თვითონაც აეღო ხელი შემავიწროებელ პოლიტიკაზე პოზნანის საჰერცოგოში. აქ ფეხის გამაგრება და გერმანული ელემენტის გაძლიერება კი—ტრადიციული მიზანია პრუსიისა.

რას გვეუბნებიან ეს ფაქტები? იმას, რომ პოლონეთის პოლიტიკურ მოძრაობას ასაზრდოებს მათი ტერიტორია. ამით აიხსნება მხოლოდ, პოლონური პარტიები რომ ირყევიან სეპარატიზმსა და ტერიტორიალურ ავტონომიას შორის. და თვით პოლონური სოციალიზმიც კი ეროვნული სულით არის გაჟღენთილი.

პოლონელებს იმიტომ უხარიათ სოციალიზმიცა და დემოკრატიაც, რომ სწამთ, კვლავ აღსდგება პოლონეთიო. თითოეული პარტიის დროშას აწერია: „ეშჩე პოლსკა ნე სგინელა“.

და ეროვნული სული, რომელიც შობს მათ თავდადებასა და ენერგიულ მუშაობას ყოველგვარ ასპარეზზე, შედეგია იმ ფაქტის, რომ 800 წლის დამოუკიდებლობამ თავისუფლების სიყვარული ჩანერგა მათ გულში.

და, ცხადია, ტერიტორია რომ არ ქონოდათ, პოლონელთ არ ექნებოდათ თავისი ეროვნული ისტორია, აღსავსე სამაგალითო, საკვირველი, მედგარი და შეუპოვარი კულტურულისა და პოლიტიკური ბრძოლითა.

ისარი.

(შემდეგი იქნება.)

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ
თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი.
მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.
შეკვეთის დროს
ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის ვაჭრობში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულია
სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვ
ფარცხანაყანევში იარმუკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერას
ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა
მოიპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაგზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის
ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ვარსკვლავის გადაღმა მხარეში!—ვინ უწყის, რას მალავს მისი ელვარება!

არსებავ ნაზო! შენი თვალებიც ხომ იგივე ვარსკვლავია, უმწიკვლო ვარსკვლავი, სადაც ტრედის ფერი სიქალწულე ისახება, სადაც ბრწყინავს სხივი ახალგაზრდა იმედისა... ხოლო შესაძლოა, მათი გამოუცნობი სიმჭვირვალეს ქვეშ ლტოლვა უცნაური, მავნე ოცნება და ქენჯნა სინიდისისა ბუდობდეს?

არა, არა მსურს მივწვდე, რაცა ხდება ვარსკვლავის გადაღმა მხარეში...

ჯ. ჯ.

ზემო იმერეთი.

რკ. გზის სადგ. ძირულა. ამ სადგურს ერთის მხრით მდ. ძირულა და მეორეს—ჩხერიმელა ჩამოუდის. მოდიდების დროს ორივე ამ მდინარეში გასვლა ცხენით თუ ურმით ყოვლად შეუძლებელია. ამ გარემოებამ დიდიხანია მიიქცია მცხოვრებთა ყურადღება. 1910 წელს აგვისტოში ბ. მ. ქათამაძემ სადგ. ძირულაზე მინისტრის თანაშემწეს თხოვნა მისცა, რომლითაც მრავრობას სთხოვდა რკინის ხიდთან პლატფორმის გაკეთებასა და მდ. ჩხერიმელაზე საურმო ხიდის აგებას. როგორც ჩანს, ახლა მთავრობას ამ თხოვნისთვის ყურადღება მიუქცევია და მოვიდა პასუხი. მთავრობას პლატფორმის გაკეთება დაუკმაყოფილებია, ხიდის აგებაზე კი უარი უთქვამს. ხოლო, რადგან ეს ხიდი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ბ. ქათამაძეს ახლა სამაზრო კომისიაში შეაქვს განცხადება—გადაიდვას საერობო თანხიდან სამი ან ოთხი ათასი მანეთი ხიდის აგებისთვის, დანარჩენ ხარჯს ჩვენ, ვისთვისაც ეს ხიდი საჭიროა, ვიკისრებთ. არ ვიცით, სამაზრო კომისია როგორ შეხედავს ამ საკითხს. რაც შეეხება იმერეთის სამხედრო გზატკეცილს, ამის თაობაზე ქათამაძეს დიდიხანია შუამდგომლობა აქვს აღძრული მეფის მოადგილესთან. ამის შესახებ დეპ. გელოვანსაც სთხოვა დახმარება აღმოეჩინა საქმის დაჩქარებისთვის. ბ. ქათამაძე საზოგადოთ თავის შრომას არ ზოგავს ამ საქმის დასაბოლოებლათ და აგრეთვე სხვა კულტურულ საქმეებსაც დიდათ ხელს უწყობს და დახმარებას უწევს. **სიდ. ნეფარიძე.**

—

ს. დიმი. დიმში, სხვათაშორის, ორი კულტურული დაწესებულებაა: საკრედიტო ამხანაგობა და უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო. ეს უკანასკნელი ნივთიერად ძლიერ ღარიბია. ამ ზაფხულს ადგილობრივმა ინტელიგენციამ სამკითხველოს ნივთიერი მხარის გასაძლიერებლათ მოიწადინა წარმოდგენის გამართვა. ნებართვა სადაც ჯერ იყო ავიღეთ და შევუდექით საქმეს. წარმოდგენის გასამართავათ საჭირო იყო შენობის გამოძებნა. ვინაიდან სოფლათ ისეთი მოხერხებული ალაგი და შენობა, როგორც შკოლის შენობაა, არ იყო, მივმართეთ იმის გამგეს—შკოლის შენობა დაეთმო. მან შენობის დათმობაზე უარი სთქვა, ხოლო ნება მოგვცა, შკოლის ბალკონზე სცენა მოგვეწყო და ეზოში კი ხალხის დასაჯდომი. რამდენიმე დღის წინათ ბ. გამგემ შკოლა თავის თანაშემწეს მასწავლებელს ჩააბარა. თვით, მიუხედავათ იმისა, რომ წარმოდგენის დადგმამდი ჩვენთან იყო, წარმოდგენას არ დაესწრო. წარმოდგენა დაიდგა ოთხ აგვისტოს. და, აი, ამას შემდეგ მოწერილობა მოდის ინსპექტორისაგან, რომლითაც თხოულობს ახსნას: ვინ მისცა ნება შკოლის ეზოში წარმოდგენა დადგმულიყო. ბ. გამგემ თავი გამოიძვრინა—მე არა ვიცი რაო და გადააბრალა მასწ. მოსეშვილს, რომელიც დროებით დაითხოვეს უკვე, და შემდეგ სხვაგან გადაიყვანეს, ეს სხვაგან გადაყვანა კი მისთვის—დასჯაა. **დიმელი.**

პასუხი გრ. ურუშაძის დამცველებს დ. კანდელაკსა და კამპ.

„იმერეთის 135-ე №—ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი. ამ წერილში მომყავდა ზოგადი აზრი იმის შესახებ, თუ რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი დაქსაქსული მეურნეობისთვის წვრილი კრედიტის დაწესებულებათ, თუ კი ესენი კარგი—რიგიანი მოთავეების ხელმძღვანელობით თავის დანიშნულებას პირნათლათ აასრულებენ.

აღვნიშნე ისიც, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი ასეთ სათუთსა და სიმპატიურ საზოგადო დაწესებულებაში მინდობილ საქმეს ღალატობს, მლიქვნელური და შეუფერებელი მოქმედებით საქმის ბედ-იღბალს საუკუნოთ ასამარებს.

ხსენებულ წერილში გრ. ურუშაძის პირადობას შევეხე იმდენათ, რამდენათაც ეს საჭირო იყო საქმის ნამდვილი ვითარების აღსანიშნავათ, რომ ამით მის ჩვეულებრივ მრუდე მოქმედებას ფრთები შეკვეცოდა. ჩანს, ჩემს წერილს ბ-ნი ურუშაძე ძლიერ გაუწიწმატებია. მისი სიმართლე პირდაპირ გულში მოხვედრია და თავის გამართლება რომ ვეღარ მოუხერხებია, დამცველებათ თქვენ აუყვანიხართ: მაგრამ დამცველის შეუფერებელი როლი გიკისრიათ და დამნაშავეს ვერც იურიდიულათა და ვერც ზნეობრივათ ვერ ამართლებთ.

გძელსა და უსაბუთო ეპისტოლეებში სიმართლეს უხვევთ, ცასა და ყორეს ედებით, ბაქი-ბუქობით გსურთ საქმის ნამდვილი სახე დაფაროთ და გრ. ურუშაძისადმი წამოყენებულ ბრალდებებს საბუთებით ვერ აბათილებთ. და, დარწმუნებულიც ვარ, ამისთვის ღონეც არ შეგწევთ. მიზნათ დაგისახავთ გრ. ურუშაძის მოქმედება სხვადასხვა თვალწარმტაცი ფერადებით დაასურათოთ, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს მეტია, უადგილო და ფუჭი შრომაა. გრ. ურუშაძის „სისპეტაკე“ და დიდმნიშვნელოვანი საქმენი საგმირონი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე თქვე ზე უფრო სხვებმა ვიცით, ისიც ვიცით, მართლა რა ჯურის ხალხში აქვს მას ნდობა მოპოვებული და სარდლობის როლი ნაკისრი და როგორ და რა სახით სარგებლობს.

..... თქვენს აბდაუბდაში, სხვათაშორის, ნათქვამია:—მე ჩემი ცნობებით, რაც ვითომც დამყარებულია უბრალო ჭორიკანობაზე, შეცდომაში შემეყვანოს მკითხველი საზოგადოება და თვით რედაქციაც, ჩემი სურვილი იყოს ვისმე პიროვნებას უადგილოთ და შეუფერებლათ შევეხო და სხვ.. ამაზე მე საჭიროთ ვსთვლი განვაცხადო, რომ ცნობების მომწოდებლებისაგან გამოგზავნილი წერილობითი ბევრი საბუთიც ხელთა მქონდა ურუშაძის მოქმედების შესახებ. მაგრამ, მიუხედავათ ყველა ამისა, საჭიროთ დავინახე გამეგო საქმის ვითარება რომელიმე თანამდებობის პირისგან და სწორეთ ამიტომ ჩემის თხოვნითა და დავალებით ერთი პირი შეეკითხა 26 აგვისტოს სოფლის სამართველოს შენობის წინ, ახლანდელ საბჭოს თავჯდომარეს დ. კანდელაკს, რომლისგანაც მიიღო შემდეგი კატეგორიული ახსნა-განმარტება: „მართალია, გრ. ურუშაძე ორჭოფობს; 25 აგვისტოს, წესდების წინააღმდეგ მოიწვია კრება, რომელიც წააქეზა დანარჩენი გამგეობის წევრების გამოსაცვლელათ; საბჭოს არ განუხილავს წინასწარი საკითხები; არავის არ ქონდა უფლება ასე უადგილოთა და უმიზეზოთ აღეძრა საკითხი 3—წლით არჩეული წევრების გამოცვლის შესახებ; თვით კრება მალულათ იყო მოწვეული; მე, როგორც საბჭოს თავჯდომარემ, არ ვიცოდი კრების მოწვევის საგანი; გრ. ურუშაძემ ბოროტმოქმედებაც ჩაიდინა: — 100 მანეთიანი კრედიტი 150 მანეთად გადაასწორა, რაც არც ჩვენ, საბჭოს წევრებმა, და არც გამგეობამ, არ ვიცოდით; მას შესაფერი ოქმიც შეუდგინეთ და სხვადასხვა. ნუთუ ბ. დ. კანდელაკს აღარ ახსოვს ყველა ესენი?! რას უნდა მიეწეროს მისი ასეთი საქციელი? ის ჩემდამი საპასუხო წერილში გრ. ურუშაძეს ყოველი მხრით ამართლებს და უდანაშაულო კრავათ გამოყავს. შემდეგ ჩემს წერილში აღვნიშნე მხოლოდ მინიმუმი გრ. ურუშაძის მოქმედებისა თანახმათ თქვენი, ბ-ნო დიმიტრი ახსნა-განმარტებისა, თუმცა, როგორც ბოლოს გაზეთების ფურცლებზე აღნიშნული იყო, თქვენს „სპეტაკ“ გრიშას სხვა სითაღლითეც ჩაუდენია; მაგალითად, გრ. ურუშაძე არც მეურნე და არც ხელოსანია, სარგებლობს ნდობით საკრედიტო ამხანაგობაში, ამ უკანასკნელის წესდების წინააღმდეგ; საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგესთვის ოფიციალური ქაღალდი მიუწერია, რაზედაც ბ-ნ გრ. ურუშაძეს ერთი გამგეობის წევრის მაგიერ თვითონ მოუწერია ხელი, თუმცა იმ პირს წერა სცოდნია; როგორც ზემოთ არის მოხსენებული გრ. ურუშიძეს ციფრის გადასწორებით გაუდიდებია პირადი კრედიტი, ეს სითაღლითე შემდეგი ბოროტმოქმედებით დაუსრულებია: სესხის მთხოვნელების სიაში (очередный списокъ) ორჯერ სხვისი სახელი და გვარი ამოუშლია (ადილარ ქანთარიასი და ბარნაბა გიგინეიშვილის) და თავისთავი მალულათ ჩაუწერია, ალბათ ამით სურდა—მისი კრედიტის გადასწორება არავის გაეგო.

თქვენ უსირცხვილოთ გაიძახით—გრ. ურუშაძის ინიციატივით 25 აგვისტოს მოწვეული კრება კანონიერი იყოვო, მაშ რაღა საჭირო იყო ამ კრების გადაწყვეტილების წარდგენა მეორე მახლობელი კრების სხდომისთვის დასამტკიცებლათ? ან რაღ სტყუის ბ-ნი დ. კანდელაკი, როცა ამბობს, სამტრედიის საკრედიტო ამხანაგობის საბჭოს თავჯდომარე თავიდანვე მე ვიყავიო? რათ ითვლებოდა ბარ. სურგულაძე, რომელმაც თავი დაანება მართველ ორგანოში სამსახურს? საინტერესოა ვიცოდეთ, როგორი აზრის არის წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი ჯაფარიძე, რომელმაც, მგონი, რევიზია მოახდინა ამ საკრედიტო ამხანაგობაში.

მე ვარ.

რედაკ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**

კ. ოცხელისა და ამხ.
წიგნის მაღაზიამ
(ქუთაისში) მიმდინარე წელს ხელი შეუწყო მრავალს სასალხო ბიბლიოთეკას წიგნების არჩევითა და გამოწერით. კვლავ განაგრძობს ამასვე—ადგენს ბიბლიოთეკებს და აძლევს წიგნებს მეტათ სალავათიანი პირობებით!
აქვე მოიპოვება შემდეგი წიგნები:
1. გუთანი, ქართული სახელმძღვანელო — — ფ. ყდით
2. ქვარიანი, საქართვ. ისტორია
3. ყუბანეიშვილი, სღვთო სჯული
4. ნიკოლაიშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა — —
5. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა
6. მისივე, მოკლე ქართული გრამატ.
7. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა
8. დათეშიძე, ქართული დედანი
ყველა ამ წიგნზე დათმობა 25 ცენტია.

ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია,
1860 წ. დაარს.
„დუხი“ და ვარდის ოდეკოლონი
ორიგან
იდილის
ციკლამენ
პირველი ვარდი
ორიგინალური, საუცხოო და ხანგრძლივი
იყიდება ამიერკავკასიის ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიაში.
ХИМИЧЕСКАЯ С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ
ЗАЯВЛЕНО ДЕПАРТАМЕНТУ ТОРГОВЛИ И МАНУФАКТУРЪ
ოქროს მედალი
პარიზი 1900 წ.

გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმისა და სოხუმის ოლქ
უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინ
ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.
№ 1

განცხადება.
ქუთაისის საფირჩხიის სასაფლაოს სამზრუნველო კომიტეტ
ამით აცხადებს, რომ
20 ოკტომბერს, დილით 11 საათ.
ამ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობით გაცემა:
საფლავების გაჭრისა, სასაფლაოს დაცვის
და სხვა.
ვაჭრობის დროს საწინდრათ საჭიროა 300 მან.
დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება ბ. იაკობ გ. ჩიმ
ვაძესთან სასაზინო პალატაში.

ახალი უვნებელი საშვალება
რძე პირსახისათვის „ბ ე ტ ტ ი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზ
ური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ
იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მა
ღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში, ლიბიხის აფთიაქი, ს. ს. ნადარეიშვი
ლი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათო.
№ 11.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.